ხობის მოამბე

№10 (7113) 29 ოქტომბერი, სამშაბათი, 2019 წელი.

ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უმეტესი ფასეულია საქართველოს ყოველი მოქალაქისა. საცა უნდა ვიყოთ, ოღონ ყველგან ვიყოთ... ყოველი სოფელი, თემი ფუძეა ცოდვათ თუ წმიდად ვიმეტყველთ, ნაწილი-ნაწილად ანის ვიყოფებიდეთ, თორემ მოვალთ ვიყო ერთ-ერთ ერეკლეთ.“

„პაპარა ნაბიჯებით რეგიონში შემოსავალი უნდა გავაჩინოთ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ზუგდიდს სტუმრობდა

პრემიერ-მინისტრმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ ალექსანდრე მოწერელიასთან, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურთან და ზუგდიდის მერ გიორგი შენგელიასთან ერთად, რეგიონის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი შენობა გახსნ**ა.**

ეს არის პირველი სახანძრო-სამაშველო შენობა საქართველოში, რომელშიც არსებობს ვერტმფრენის დასაჯდომი სივრცე. შენობაში განთავსდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამეგრელო ზემო-სვანეთის მთავარი სამმართველო, კოორდინაციის სამმართველოს და ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონალური განყოფილება.

მთავრობის მეთაური რეგიონის პედაგოგებს ზუგდიდის ტექნოპარკში შეხვდა. გიორგი გახარიამ ისაუბრა დარგში არსებულ გამოწვევებზე და პედაგოგებს პრობლემებზე ღიად და გულწრფელად საუბრისკენ მოუწოდა.

„გვესმის, რომ ჩვენი მომავალი თაობის ფორმირებაში თქვენ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებთ. სახელმწიფოსაც პირდაპირი ვალდებულება აქვს, თქვენი ყოველდღიური საქმიანობა იყოს უფრო ეფექტური და შედეგის მომტანი, ჩვენი მომავალი თაობისთვის. ბოლო პერიოდი, ბიუჯეტის ფორმირებიდან დაწყებული, რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელზეც მომავალი წელიც იქნება დამყარებული. ეს არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, იზრუნოს იმ მსხვილ სოციალურ ჯგუფებზე, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს როგორც ასეთს. პირველ რიგში ეს არის მასწავლებლები, ექიმები და სამართალდამცველები. ეს არ არის შემთხვევითი პრინციპი. მისი საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც უნდა იზრუნონ მომავალ თაობებზე და ჩვენს ღვაწლმოსილ პენსიონერებზე. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მასწავლებლებს წელსაც და მომავალ წელსაც გაეზრდებათ ხელფასი. ყველას კარგად გვესმის, რომ ეს არის ზღვაში წვეთი, თუმცა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.

მასწავლებლების შემდეგ გიორგი გახარიამ შეხვედრა რეგიონის ექიმებთან გამართა.

„ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, რაც ხდება მედიცინაში, რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, ეს არის, რომ თქვენ უნდა იზრუნოთ ჩვენი პატარებისა და ასევე ჩვენი ღვაწლმოსილი მოხუცების ჯანმრთელობაზე. მეორე, რა თქმა უნდა, სახელმწიფო სერიოზულ რესურსებს ხარჯავს ჯანდაცვაზე, ისევე როგორც სოციალურ კომპონენტზე და მესამე, იქ, სადაც დღეს ვართ, ამით კმაყოფილი არავინ არ არის,“–განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრი რეგიონის ახალგაზრდებს სოფელ ჭკადუაშში მიურატების რეზიდენციაში შეხვდა.

არ არსებობს დახურული თემები და შეგვიძლია ვისაუბროთ ყველაფერზე, რაც თქვენ გაღელვებთ. გულწრფელად მაინტერესებს რას ფიქრობთ, სად ხედავთ ამ ქვეყანას, სად ხედავთ თქვენს როლს და თქვენს თავს 5-10 წლის შემდეგ, რა პასუხისმგებლობის აღება შეგიძლიათ თქვენს თავზე დღეს და ხვალ, როგორ ფიქრობთ, რა უნდა გავაკეთოთ დღეს იმისთვის, რომ 10 წლის შემდეგ თქვენ სრულფასოვნად შეგეძლოთ, პასუხისმგებლობა აიღოთ ქვეყანაზე, მის განვითარებასა და ხვალინდელ დღეზე“,–მიმართა პრემიერ-მინისტრმა ახალგაზრდებს.

პრემიერ მინისტრი სოფელ ზედაეწერში რეგიონში მოღვაწე ფერმერებსა და მეწარმეებს შეხვდა.

მთავრობის მეთაური ადგილობრივ მეწარმეებს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროს განვითარებაზე ესაუბრა და მათგან წინადადებებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

გიორგი გახარიას თქმით, ტურიზმის განვითარებისთვის, გარდა ტრადიციული კულტურებისა, მნიშვნელოვანია კიდევ უფრო განვითარდეს ადგილობრივი მევენახეობა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მნიშვნელოვანი სამუშაოა გასაწევი რეგიონში ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად.

ზუგდიდში სასტუმროებია ასაშენებელი, ნოქალაქევია დროულად აღსადგენი, ბევრი ისტორიული ძეგლია, გასაკეთებელია მარტვილიდან ჩხოროწყუ-წალენჯიხა, წალენჯიხა-ზუგდიდის მარშრუტი. ძალიან ბევრი ხალხი დადის დაცულ ტერიტორიებზე. ბევრი შესაძლებლობაა სამეგრელოში, სადაც ტურისტი შეიძლება 5-6 დღე დავაკავოთ. გვჭირდება სასტუმროების ინფრასტრუქტურა ზუგდიდში და ფოთში. შემდეგ უკვე მესტია, მარტვილი. ჩხოროწყუ-წალენჯიხა უნდა განვითარდეს საოჯახო ტიპის სასტუმროებით. ასე პატარ-პატარა ნაბიჯებით რეგიონში შემოსავალი უნდა გავაჩინოთ“,–განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა მეწარმეებთან შეხვედრის დროს ანაკლიის პორტის მშენებლობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

„დღეს ახალგაზრდებმა მკითხეს ანაკლიის, ანაკლიის პორტის, დასაქმების შესახებ. რა თქმა უნდა, ანაკლია არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე არ ვუყურებ ანაკლიას, როგორც მარტო პორტს. არ არის ეს მხოლოდ პორტი. ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრობლემა არის ის, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში სამეგრელო გახდა ჩიხი. ანაკლიაც ამ ჩიხის გადალახვის ერთ-ერთი საშუალებაა, ისე როგორც მაგალითად, რკინიგზის აღდგენა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომ. ამ უკანასკნელს, ყველამ ვიცით, რომ 5 წელიწადში ვერ გავაკეთებთ, ანაკლიის გაკეთება კი 5 წელიწადში შესაძლებელია. შინაარსობრივად, მაინც საკითხი მიდის არა იმაზე, რამდენ ადამიანს დაასაქმებს პორტი, არამედ იმაზე, რომ კუთხე არ იყოს ჩიხი. ეს არის ყველაზე დიდი შინაარსი ანაკლიის ამ პროექტის“,–განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ეროვნული მოძრაობის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი წავიდა...



საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა პლეადას კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა.

68 წლის ასაკში, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, გამორჩეული მამულიშვილი და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, **ტარიელ გელანტია** გარდაიცვალა.

ბატონი ტარიელი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ადამიანი იყო. ის, ხობის რაიონის პირველ პრეფექტ, თენგიზ ქაჯაიასთან ერთად იდგა საქართველოს სადარაჯოზე და აქტიურად უჭერდა მხარს სულმნათი ზვიად გამსახურდიას ეროვნულ იდეალებს.

გამოვთქვამ ღრმა მწუხარებას სამაგალითო ადამიანის, ტარიელ გელანტიას გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობ ბატონი ტარიელის ოჯახს, ახლობლებს, თანამოაზრეებს და ხობს, ამ დანაკლისის გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ტარიელის სული!

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ერის ღირსეული შვილი

ტარიელ ამირანის ძე გელანტია

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, სრულიად საქართველომ მძიმე დანაკლისი განიცადა–68 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პრეზიდიუმის წევრი **ტარიელ ამირანის ძე გელანტია**.

ტარიელ გელანტია უზენაეს საბჭოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ხელმძღვანელობდა. ის გახლდათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე უცხო ძალების მიერ პროვოცირებული და დაფინანსებული პუტჩის შემდეგ, ტარიელ გელანტია იძულებით ემიგრაციაში წავიდა და ცხოვრობდა გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში, რომლის მიწაც მას 25 ოქტომბერს მიიბარებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტარიელ გელანტია, როგორც ბევრი მისი მსგავსი მამულიშვილი, მოკლებული იყო შესაძლებლობას, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს კეთილდღეობისთვის სრულად მოეხმარათ.

ტარიელ გელანტია ყოველთვის დარჩება თაობათა ხსოვნაში, როგორც ერის ღირსეული შვილი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადებული მებრძოლი, რომელმაც პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ტარიელ გელანტიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს, მის ნათესავებსა და თანამებრძოლებს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხობის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ხობის რაიონიდან, უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ წევრი, ეროვნული ხელისუფლების ერთგული და თვალსაჩინო წარმომადგენელი

ტარიელ გელანტია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყებიან ერის სასიქადულო შვილის

ტარიელ გელანტიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ტარიელ გელანტია დაკრძალეს

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი ტარიელ გელანტია 25 ოქტომბერს, გერმანიაში დაკრძალეს.

ხობის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ტარიელ გელანტიას სულის მოსახსენიებელი ლოცვა აღევლინა. ხოლო, ცოტნე დადიანის სახელობის სკვერში სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. ტარიელ გელანტიას ხსოვნას პატივი მისმა მეგობრებმა, ახლობლებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიაგეს.

სამგლოვიარო მიტინგს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილეები ესწრებოდნენ.

„საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა პლეადას კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა. ბატონი ტარიელი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ადამიანი იყო. ის, მტკიცედ იდგა საქართველოს სადარაჯოზე და აქტიურად უჭერდა მხარს ზვიად გამსახურდიას ეროვნულ იდეალებს.

გამოვთქვამ ღრმა მწუხარებას სამაგალითო ადამიანის, ტარიელ გელანტიას გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს, თანამოაზრეებს და ხობს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ტარიელის სული!“–აღნიშნა მუნიციპალიტეტიის მერმა გოჩა ქაჯაიამ.

ტარიელ გელანტია 1978-1990 წწ. ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, დოქტორი; 1983-1990 წწ. 1991-1992 წწ. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ხობის საარჩევნო ოლქი, პრეზიდიუმის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (1991-1992); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

ინტელექტუალური თამაშის გამარჯვებული

„ნატოს დღეები 2019“-ის ფარგლებში, დადიანების სასახლეთა ეზოში, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ გაიმართა, რომელშიც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის კერძო და საჯარო სკოლების 250-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

ინტელექტუალური თამაშის გამარჯვებული ქალაქ ხობის 2 საჯარო სკოლის გუნდი „ღირსეული პარტნიორი“ გახდა. ხობელ მოსწავლეები სიგელებითა და წიგნებით დაჯილდოვდნენ.

მიმდინარე წელს, ნატოს დღეები განსაკუთრებულად აღინიშნება საქართველოს რეგიონებში, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით 70-მდე ღონისძიება გაიმართება. კერძოდ, ქვეყნის 10 რეგიონში, ნატოს დღეების ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, საჯარო მოხელეებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ა.შ.

„ნატოს დღეები“ საქართველოში საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და საქართველოში პოლონეთის საელჩოს (ნატოს საკონტაქტო საელჩო) მხარდაჭერით იმართება.

„იცოდე კანონი, იქნები დაცული“

ხობის მუნიციპალიტეტის მერია უერთდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო კამპანიას, სახელწოდებით–„ნუ წაართმევ ბავშვობას“.

აღნიშნული კამპანიის მიზანია ბავშვთა ნაადრევი ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა, ამ პრობლემასა და პოლიციისთვის დროულად შეტყობინების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებთან.

18 წლამდე ქორწინება საფრთხეს უქმნის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით გარანტირებულ მთელ რიგ უფლებებს. განათლებას უდიდესი როლი აქვს როგორც ბიჭების, ისე გოგონების წარმატებული მომავლისთვის და ადრეული ქორწინების გადავადების საფუძველიც ხდება...

ლაილა გადი

ნუ წაართმევ ბავშვობას!



კანონი ადრეული ქორწინების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქვეყანაში ქორწინება 18 წლის ასაკიდანაა დაშვებული. 2016 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა წესი, რომლის თანახმადაც, 16 წელს მიღწეულ პირთა ქორწინება მშობლების თანხმობით დაიშვებოდა.

კანონმდებლობაში ეს ცვლილება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციით იქნა შეტანილი. ამჟამად, გამონაკლისის სახით, 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით ისეთი მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ორსულობა.

სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეელ პირთან სისხლის სამართლის დანაშაულია და დამნაშავე ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით, რომელიც 7-დან 9 წლამდე პატიმრობას გულისხმობს და ამ შემთხვევაში, ცხადია, ოჯახის შექმნის განზრახვა გამამართლებელ მიზეზად არ ითვლება. ასევე ისჯება იძულებითი ქორწინება. აქ სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლი განსაზღვრავს.

რა არის ადრეული ქორწინება

ადრეულ ქორწინებად ითვლება ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის. მიუხედავად კლების ტენდენციისა, საქართველოში კვლავ მაღალია ადრეული ქორწინების მაჩვენებელი–ის უტოლდება მოლდოვეთისა და თურქეთის მაჩვენებელს და აჭარბებს მეზობელი ქვეყნების, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაჩვენებელს.

არსებული მონაცემებით, 20-24 წლის ასაკის ქალთა 14 % აღნიშნავს, რომ ოჯახი 18 წლის ასაკამდე შექმნა. ვაჟებში ხუთჯერ უფრო ნაკლებია ადრეული ქორწინების შემთხვევები. ადრეული ქორწინების საქართველოს მაჩვენებელი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები ადრეული ქორწინების შესახებ, რადგან ქორწინებათა უმრავლესობა არ არის რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, თუკი გავითვალისწინებთ არარეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რიცხვი გაცილებით მაღალია.

ბავშვობის ასაკში ქორწინების გამოკვლევის მთავარი მიგნებები

• ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავრცელებული მოვლენაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, დედაქალაქ თბილისის ჩათვლით. ადრეული ქორწინება არ არის დაკავშირებული მხოლოდ ტრადიციებსა და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებთან, როგორც ეს თავდაპირველად იყო მიჩნეული. ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფში ადრეული ქორწინების ასაკად სახელდება 13-15 წლები, ძირითად მოსახლეობაში ქორწინების ასაკია 16-17 წლები.

• გამოკითხული გოგონები და ბიჭები ამბობენ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა შეიცვალა და მათ მეტი არჩევანი აქვთ და მეტად ეთქმით სიტყვა მშობლების გადაწყვეტილების თაობაზე.

• ადრეული ქორწინების გამომწვევი ფაქტორები: ნორმები, რომლებიც ახალგაზრდებს უზღუდავს შესაძლებლობას თავისუფლად შეხვდნენ მეგობარ გოგოს/ბიჭს; მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ტაბუდადებულ თემას; ეკონომიკური პრობლემები–ამ პირობებში ოჯახებისთვის ხშირად ქორწინებაა ყველაზე მისაღები ფინანსური გამოსავალი.

• გოგონები, რომლებიც ადრე ქორწინდებიან, ტოვებენ სკოლას. საშუალო და უმაღლესი განათლება ბიჭებისთვის უფრო პრიორიტეტულია. გარდა ამისა, ქორწინების შემდეგ გოგონების მიერ განათლების გაგრძელების გადაწყვეტილებას ხშირად მათი ქმრები და დედამთილ-მამამთილები იღებენ.

• გამოკვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აცნობიერებს ადრეული ქორწინების შემთხვევაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს.

• რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ დაქორწინების შემდეგ გოგონებში მკვეთრად იზღუდება მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერის გამოყენება როგორც ქმრების, ისე მათი მშობლების მიერ–განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლსა და ქმარს შორის შედარებით დიდია ასაკობრივი სხვაობა.

• რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათთვის ცნობილია ის კანონი, რომელიც კრძალავს ადრეულ ქორწინებას, თუმცა ცოტამ თუ იცის კანონის ბოლო ცვლილებების შესახებ.

ერთად ვიზრუნოთ ჩვენი შვილების ცნობიერების ამაღლებაზე.

თამუნა სიჭინავა

ჩვენს მუნიციპალიტეტში

2019 წელს განხორციელებული პროექტები

ხეთა

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 160000 ლარის ღირებულების 9 პროექტი განხორციელდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წინაგოლაში მოეწყო სკვერი.

* ოხვამეკარსა და ნოჩხონში მოიხრეშა შიდა სასოფლო გზა

* კ. გამსახურდიას ქუჩაზე დაიგო ბეტონის საფარი.

სტიქიის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამით ხეთაში რეაბილიტირდა ხიდი და ხიდბოგირი.

* ოხვამეკარში შეკეთდა ხიდი და ხიდბოგირი მელიორაცია

* 105 ჰექტარ მიწის მასივზე ნატანი მასისგან გაიწმინდა კოლექტორები, მაგისტრალური და შემკრები არხები.

საჯიჯაო

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში 1245000 ლარის ღირებულების 15 პროექტი განხორციელდა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“

* ჯაპიშაქარში და ზენში აშენდა მოსაცდელი

* ზენსა და ზუბში მოეწყო გარე განათება.

* ზენსა და ჯაპიშაქარში ამოიწმინდა სანიაღვრე არხები.

*გაღმა საჯიჯაოში მოეწყო სასაფლაომდე მისასვლელი გზა.

სტიქიის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამით

* გაღმა საჯიჯაოში აშენდა ხიდი.

* ზენში მოეწყო ხიდბოგირი და ხიდი.

* ზენში განხორციელდა ხიდბოგირის რეაბილიტაცია.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით. ახალი ხიბულა-საჯიჯაოს დამაკავშირებელ 4.4-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი).

* საჯიჯაოს №1 და №2 საჯარო სკოლებში მოეწყო სველი წერტილები.

სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამით კეთილმოეწყო სასოფლო ამბულატორია.

ძველი ხიბულა

ძველ ხიბულაში პროექტები აქტიურად ხორციელდება

ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროცესს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა გაეცნენ. ძველ ხიბულაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის რეაბილიტაცია, სოფლის გაზიფიცირება, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით 60 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი საბავშვო ბაღის და ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს.

სოფელში, ასევე დაგეგმილია შიდა სასოფლო გზების მოასფალტება, წყლის სისტემის და მდინარე ჭანისწყალზე ხიდის მშენებლობა.

ხამისკური

ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში 243000 ლარის ღირებულების 14 პროექტი განხორციელდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ საქირიოში ამოიწმინდა სანიაღვრე არხი.

* შემოიღობა სასაფლაო.

* გარემონტდა საბავშვო ბაღი.

სტიქიის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამით საკუკავოში აშენდა ხიდი.

* საკუკავოში სამ ადგილას მოეწყო ნაპირდამცავი გაბიონი.

* ზემო საფარცვანიოში სამ ადგილას მოეწყო ნაპირდამცავი გაბიონი.

* საკუკაოში განხორციელდა ორი მილხიდის რეაბილიტაცია.

სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამით

* კეთილმოეწყო სასოფლო ამბულატორია.

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია

ცოფი

ცოფი ანუ ჰიდროფობია მწვავე ქირურგიული სპეციფიკური ინფექციაა, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით მიმდინარეობს. მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრების დროული და კვალიფიციური ჩატარებაა გამოცდილი ქირურ-რაბიოლოგის ზედამხედველებით.

ვირუსი დაავადებულ ცხოველებში განთავსებულია ნერვულ დაბოლოებებზე და ნერწყვში.

ცოფის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს დაავადებული ცხოველის ნერწყვიდან არა მხოლოდ თვალით შესამჩნევი ჭრილობებიდან (ნაკბენი, ნაკაწრი), არამედ მიკროტრამვებიდანაც (დადორბვლისას), თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკბენის და ნერწყვის კანზე მოხვედრის ხარისხს.

განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი ჭრილობები თავის, სახის და კისრის არეში, რადგან ასეთ შემთხვევაში დაავაადების საინკუბაციო პერიოდი მოკლდება.

დაავადებული ცხოველი განსაკუთრებით აგრესიულია, პირიდან სდის დორბლი და შეიძლება ეცეს ადამიანს პროვოცირების გარეშე.

სიმპტომური ცოფი პარაქტიკულად არა იკურნება. თანამედროვე მედიცინას არ გააჩნია პრეპარატი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დაავადებული ადამიანის განკურნება. მიუხედავად განკურნებადობისა, შესაძლებელია ავადობის პრევენცია, რაც მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ვაქცინაციის დროულად დაწყებაზე.

ანტირაბიული სამედიცინო დახმარება შედგება უპირველეს ყოვლისა, ნაკბენი ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავებისგან და რა თქმა უნდა, ანტირაბიული სამკურნალო-პროფილაქტიკური იმუნიზაციისგან.

ნაკბენი ჭრილობების დამუშავების დროს, ქირურგი რაბიოლოგის მიერ დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები.

–ჭრილობა ირეცხება ჯერ უხვი საპნიანი წყლის ჭავლით, შემდეგ მასზე ედება ასეპტიკური ნახვევი.

ნაკბენი ჭრილობების კიდეები და ფუძე არ იკვეთება მრავალრიცხოვანი ნერვული დაბოლოებების დაზიანებათა გამო.

ნაკბენი ჭრილობების დროს, ცოფის თავიდან აცილებისთვის, აუცილებელია ტეტანუსის პროფილაქტიკა.

ცოფი მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებს. მისი პროფილაქტიკისთვის უნდა ჩატარდეს კომპლექსური ღონისძიებები. დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მიერ ძაღლების და კატების შენახვისა და მოვლის წესების დაცვას. უკანასკნელ პერიოდში მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, კვლავ მომრავლდა დასახლებულ პუნქტებში შინაური ცხოველების მიერ ადამიანების დაკბენის, გაკაწვრის და დადორბვლის შემთხვევები, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად 400-დან 450-მ,დე მერყეობს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ანტირაბიული კაბინეტები ფუნქციონირებს სამედიცინო კორპორაცია **„ევექსის“ ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაში, შ.პ.ს. „მკურნალში“ და შ.პ.ს. „პულსის“** სამედიცინო დაწესებულებებში. თითოეული მათგანი ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფილია ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით და ცოფის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნებისმიერი ადმიანისთვის ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პირობითი და სრული კურსის ჩატარება სრულიად უფასოა. ცოფზე საეჭვო ცხოველებთან კონტაქტისას, ან შინაური ცხოველების მიერ ადამიანების დაკბენის, გაკაწვრის ან დადორბვლის შემთხვევაში დაზარებულმა უნდა მიმართოს დაუყოვნებლივ ზემოთნახსებ სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც მათ გაუწევენ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

წინ–წინაპრებისკენ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 10 ოქტომბრის 201-ე ნომერში დაბეჭდილი „ცოტნე–რუსთველური გმირი“ (ცოტნე დადიანის დღე ხობში) არ არის მარტო საეკლესიო-საერო დღის რეპორტაჟი, მას უფრო დიდი დატვირთვა აქვს. კონფერენციაზე გამომსვლელი მწერლების (სტუმრების) მიერ გამოთქმული ცოტნე დადიანის და შოთა რუსთაველის ნათესაობის შესახებ მოსაზრებების გამო. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვებეჭდა ეს მასალა. ვფიქრობთ, ხობელი (და არა მარტო) მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

სამეგრელო **რომ ზოგადქართული სივრცის ნაწილია და მთელ საქართველოში მომხდარი ამბების უშუალო მონაწილეც, ამ ჭეშმარიტებას, საბედნიეროდ, მტკიცება არ სჭირდება. XIX საუკუნეში, როცა დამპყრობელმა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა გამოიყენა და ასე სცადა, მეგრელების არაქართველობა ემტკიცებინა, ჩვენმა მამულიშვილებმა თვალი XII საუკუნის საქართველოს, ძლიერ, ერთიან, მდიდარ, თავისუფალ ქვეყანას მიაპყრეს. ის ამხნევებდათ, ის აძლიერებდათ და საბრძოლველადაც ის მაშინდელი ჩვენი ერთიანობა განაწყობდათ. თუ რომელიმე კუთხისთვის ერთი ადამიანის სახელის მისადაგება გახდება საჭირო, სამეგრელო, უყოყმანოდ, უპირველესად ცოტნე დადიანის სახელს მოიხდენს.**

ცოტნე–რუსთველური გმირი

12 აგვისტო ჩვენს ისტორიაში ბევრი რამით გამორჩეული დღე აღმოჩნდა–დიდგორის გამარჯვებას რამდენიმე საუკუნის მერე ცოტნეს გმირობა შეემატა სანიშანსვეტო მოვლენად. 12 აგვისტოს საქართველო დიდგორობასაც ზეიმობს და ცოტნეობასაც და ეს სიმბოლურია. წელს, ამ დღეს, ხობში, ცოტნე დადიანის მშობლიურ ქალაქში, ბეჟან ნადარაიას თა-

ოსნობით, სამეცნიერო კონფერენციაც გაიმართა. მანამდე ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ფოთისა და **ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა წმინდა ცოტნე აღმსარებლის მოსახსენიებლად სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკთან, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოს დოსითეოსთან, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოს საბასთან და ხობის ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად.**

გადმოცემით, აქ, ხობის ტაძარშია ჩვენი ეროვნული გმირის ძვალშესალაგი. აქვეა მისი ფრესკაც. წირვის შემდეგ კულტურისა და რწმენის განვითარების ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მიზანი დიდი მამულიშვილის კიდევ ერთხელ გახსენება, მისი ღვაწლისთვის კიდევ ერთხელ პატივის მიგება გახლდათ. მსგავსი შეხვედრებისთვის საგანგებოდ აშენებულ მოზრდილ დარბაზში ხობის ვაჟთა ანსამბლ „კოლხეთის“ ომახიანი ხმები შეგვიძღვა. ანსამბლის წევრებმა ძველთაძველი ხალხური ჰანგებითა თუ ახალი სიმღერებით იმ დღეს კიდევ არაერთხელ დაიპყრეს მსმენელთა გულები და საღამოც მათვე გაასრულეს არაჩვეულებრივად შესრულებული „მალანურით“.

შეხვედრა გახსნა, საზოგადოებას სტუმრები წარუდგინა და იმ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა **ბეჟან ნადარაიამ**. განსაკუთრებული ინტერესი მსმენელისა, რა გასაკვირია, როსტომ ჩხეიძისკენ იყო მიქცეული და მანაც, როგორც ყოველთვის, საქმიანი და ემოციური გამოსვლით დაამახსოვრა თავი დამსწრეთ. გთავაზობთ მისი სიტყვის მოკლე ჩანაწერს.

როსტომ ჩხეიძე:

ქართლში იციან ხოლმე თქმა, როცა გამორჩეული დღეა, ეს არის შეგნებული დღეო. დღე ყველა სასწაულია თავისებურად, მაგრამ ხანდახან ერთმანეთს ისე მიეწყობა ჩვეულებრივი, სადაგი დღეები, რომ იქ უნდა ამოვარდეს ერთი და განსაკუთრებულად გაანათოს ჩვენი რეალობა, და დღევანდელი დღე სწორედ ასეთი დღეა–რელიგიურიც და სამოქალაქოც. სახელმწიფო არ ითვლება სახელმწიფოდ, თუ მას არა აქვს სრულფასოვანების შეგნება, თუ მას არა აქვს სურვილი, რომ დადგეს ერად სხვა ერთა შორის. არ შეიძლება, სახელმწიფო იყოს ვინმეს კუდიმდევარი. ხოლო ასეთი, სხვა ქვეყნების ტოლ-სწორი სახელმწიფო აუცილებელია, ზნეობრივ საფუძვლებს ემძარებოდეს. ვერც პოლიტიკა ან თუნდ ეკონომიკა ვერ აქცევს მას ასეთად. მარტო ცოტნე დადიანი რომ ვახსენოთ, მისი ბიოგრაფია, უფრო სწორად, ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, ჩვენ უკვე ვიცით, ვისი შთამომავლები ვართ, ვის გზას ვაგრძელებთ.

თავის დროზე, როცა ცოტნეს ამბავი მოყვა ჟამთააღმწერელმა, მან თქვა, რომ სწორედ ცოტნე და ცოტნესნაირები განსაზღვრავდნენ საქართველოს ბედისწერას. ჟამთააღმწერელი იყო ძალიან სკეპტიკოსი ადამიანი, ხელჩაქნეული, ტკივილებით შეძრული. მიაჩნდა, რომ ღმერთმა ჩვენი ცოდვებისთვის დაგვსაჯა, მაგრამ რადგან არსებობს ცოტნე დადიანი, ყველაფერი შემოტრიალდება სასიკეთოდო.

დღესაც ცოტნეს შარავანდში ვტრიალებთ. მან თავი გადადო არა მარტო მოყვასისთვის, მან თავი გადადო ქვეყნისთვის, ღირსებისთვის, კაცობისთვის. მართალია, ცოტნეს ბიოგრაფია არ ვიცით, მაგრამ შეიძლება იგი შეივსოს, გაცილებით სხვაგვარად წარმოდგეს, გაცილებით უფრო ფართოდ, გაცილებით უფრო ვრცლად, თუ ჩვენ გულდასმით წავიკითხავთ პავლე ინგოროყვას ნაწერებს.

პავლე ინგოროყვა არის ერთი გამორჩეული სახელი ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. იგი ხელფეხშეკრული იყო საბჭოთა ეპოქაში, თუმცა ამ ურთულეს ხანაშიც შეძლო, ეკეთებინა უმნიშვნელოვანესი საქმეები. შოთა რუსთაველის ის იუბილე, რომელიც ვიზეიმეთ 1966 წელს, სწორედ პავლე ინგოროყვას იდეით, მისი დადგენილი თარიღით აღნიშნეს. მწერალთა კავშირმა ხელისუფლების დახმარებით მოახერხა ის, რომ პავლე ინგოროყვა მთლიანად ჩამოაშორეს იუბილეს. ეს ის კაცია, რომელმაც შუასაუკუნეების სანოტო ნიშნები აღადგინა, რაც მსოფლიო მნიშვნელობის საქმეა და კიდეც მოჰყვა მაშინ შესაფერისი გამოხმაურება მსოფლიო მასშტაბისა, მაგრამ მერე ისევ ჩაიფერფლა და ჩვენ ვართ ვალდებულები, ხელახლა გავიხსენოთ და მსოფლიოსაც ხელახლა წარვუდგინოთ. პავლე ინგოროყვა ერთადერთი კაცია საქართველოს ისტორიაში, რომელმაც შექმნა ქართული ცივილიზაციის ისტორია. საქართველოს ისტორია, მისი სიმაღლე, სიდიდე მსოფლიო ისტორიის ფონზე აქვს წარმოდგენილი. მისი „გიორგი მერჩულე“ რომ სათანადოდ დაფასებულიყო თავის დროზე, ჩვენ აფხაზეთის მხარეს არ დავკარგავდით.

რუსთაველის ბიოგრაფიის მისეულმა კვლევამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ზოგიერთები არ უჯერებდნენ პავლე ინგოროყვას, ამბობდნენ, ეს ყველაფერი არის მისი ფანტაზიის ნაყოფიო. თუმცა ამდენი რუსთველოლოგიური ნაშრომი არც ერთ სხვა მეცნიერს არა აქვს. ხელახლა გამოიცა ოთხ ტომად. აქ წაიკითხავთ, რა იყო საქართველო თავისი დიდების მწვერვალზე და რა უნდა იყოს, როცა კვლავ შედგება თავისი დიდების მწვერვალზე.

როცა მან თქვა, რომ შოთა რუსთაველი არის ბაგრატიონი, სამეფოს გვერდითა შტოს წარმომადგენელი, ამით ისე აღფრთოვანდა ნიკო მარი, გული დაწყდა, ამისთვის მე უნდა მიმეგნოო. პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი იყო კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე. იგი იყო არა მარტო დიდებული პოეტი, არამედ დიდი ერონული, საზოგადო მოღვაწეც. და იმ დროს, როცა მეფე აღარა ჰყავს საქართველოს, წინამძღოლი ერისა ხდება შოთა რუსთაველი.

რა კავშირი აქვთ შოთა რუსთაველსა და ცოტნე დადიანს? აღმოჩნდა, რომ ცოტნეს ცოლად ჰ ყავდა რუსთაველის ძმის, ტბელის ასული, პოეტი ქალი ბორენა, რომლის ერთი იამბიკოც ჩვენამდე მოღწეულია. ხობის მონასტერში აღმოჩნდა ჰერეთის საგვარეულო ხატი. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოთქვა დასაბუთებული მოსაზრება, რომ ეს ხატი მეცამეტე საუკუნისა იყო. (და არა XI საუკუნისა, როგორც მანამდე მიაჩნდათ), და ამ დასკვნამ პავლე ინგოროყვას მისცა საშუალება, დაედგინა კავშირი ხობსა და რუსთავს შორის. უდავო გახდა, რომ ეს ხატი მზითევში ერგო ბორენას.

პავლე ინგოროყვა იყო საუკეთესო სტილისტი. ასეთი რამ მეცნიერებაში არის იშვიათი. მწერალივით წერდა, ძალიან ექსპრესიულად და ის სურათი აქვს განსაკუთრებული ძალით აღწერილი, ანისში რომ ჩადის ცოტნე და მიეახლება თავის ყმებს და მათ შორის ცოლის ბიძას, შოთა რუსთაველს. უამრავი მასალა, არგუმენტი ამყარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ მოწინააღმდეგეები მაინც ჰყავს, (თუმცა სხვა, საწინააღმდეგოს ვერ ამტკიცებენ, უბრალოდ, არ გვჯერაო, ამბობენ) და თავის დროზე, როცა ეს დიდი, უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა გამოქვეყნდა, კოლაუ ნადირაძემ თქვა, რომც არ დამტკიცდეს ამ ამბის ნამდვილობა, თავისთავად ცალკე პოემაა ერთ ოჯახად გამოცხადება რუსთველისა და ცოტნესიო. როგორც აკაკის „ნათელაა“ შესანიშნავი პოემა.

გადაწყვეტილი გვაქვს და აღვასრულებთ, რომ ეს ორი გამორჩეული ქმნილება–პავლე ინგოროყვას გამოკვლევა და აკაკი წერეთლის პოემა გვერდიგვერდ დავბეჭდოთ და ასე გამოვცეთ. გრიგოლ აბაშიძე იცნობდა ამ ნარკვევს და მისი დამსახურებაა, რომ ეს ნარკვევიცა და პავლე ინგოროყვას სხვა შერისხული თხზულებებიც დაიბეჭდა.

და ელოდები ადამიანი, რომ თავის რომანში ცოტნეზე გამოიყენებდა ამ აღმოჩენას, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოერია იმას, რომ რუსთველი ჰყოლოდა პერსონაჟად. და ერთი ნოველაც მინდა ვახსენო. იყო ასეთი კარგი მწერალი,–ძარამან კიკვიძე, დღეს დაუფასებელი. მას აქვს ძალიან კარგი ნოველა ცოტნე დადიანზე. აქვე უნდა გავიხსენო შოთა ნიშნიანიძის ლექსიც, რომელიც ეძღვნება იმ ნოინს, რომელიც სულიერად ცოტნეს ტოლი და სწორი აღმოჩნდა და გაათავისუფლა ქართველი ტყვეები ცოტნეს ზნეობრივი გმირობით აღტაცებულმა. მტერიც, მისი ღირსეული საქციელიც უნდა დავაფასოთ. ცოტნე დადიანის ფიგურაც სულ სხვანაირად მოჩანს, როცა ვიცით, რომ ის შოთა რუსთველის ოჯახის წევრია. არც ის არის შემთხვევითი, რომ იერუსალიმის აღაპებში გვერდიგვერდ არის მოხსენიებული მათი სახელები.

პავლე ინგოროყვას ეს ნარკვევი დავაფასოთ, როგორც ძვირფასი მონაპოვარი და ვისურვოთ, ადრე თუ გვიან დაიწეროს ის რომანი, ამოზრდილი პავლე ინგოროყვას ნარკვევზე, სადაც მთავარი მოქმედი პირები იქნებიან შოთა რუსთველი და პავლე ინგოროყვა.

ბატონმა როსტომმა საჩუქრად ჩამოიტანა პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ნაშრომების ახლადგამოცემული ოთხტომეულები, რითიც ძალიან გაახარა ადგილობრივნი.

ელგუჯა თავბერიძემ დიდგორობა და ცოტნეობა მოგვილოცა, აღნიშნა, ნიშანდობლივია, რომ ეს დღესასწაულები ერთმანეთს ემთხვევაო და განაგრძო:

ყველანი ვთანხმდებით, რომ ცოტნე დადიანის გმირობა ზნეობრივი გმირობაა. თუმცა სკეპტიკოსები ყოველთვის არსებობდნენ, დღესაც არიან. გასული საუკუნის 40-იან წლებში, როცა დიდი ქართველი ისტორიკოსები, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი ადგენდნენ მოსწავლეთათვის ისტორიის სახელმძღვანელოს, ჭოჭმანობდნენ, შეეტანათ თუ არა სახელმძღვანელოში ცოტნე დადიანის ეპიზოდი. ისინი ფიქრობდნენ, რომ რადგან მხოლოდ ჟამთააღმწერელთან არის ეს ამბავი მოთხრობილი, შეიძლება არც იყოს მართალიო. დღეს არავინ დავობს, რომ ცოტნე ისტორიული, რეალური პიროვნება იყო, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო იმ ზნეობრივ გმირობაში, რომელიც ჩაიდინა, არამედ მომდევნო საუკუნეების გადარჩენაშიც. შეუძლებელია, ცოტნეს სახებით არ დაინტერესებულიყო პავლე ინგოროყვა. დაინტერესდა და, როგორც მისთვის იყო დამახასიათებელი, ძირისძირობამდე შეისწავლა წყაროები და საოცარ დასკვნამდე მივიდა: აღმოჩნდა, რომ რუსთველი და ცოტნე დადიანი დამოყვრებული ნათესავები იყვნენ: მათი მოყვრობა უამრავი არგუმენტითაა გამყარებული მეცნიერის მიერ. თუ ვინ-

5

წინ–წინაპრებისკენ!

4

მეს არ სჯერა, კეთილი ინებოს და სხვა არგუმენტებითა და დოკუმენტებით უარყოს და სხვა დაამტკიცოს. ერთიანი სახელმწიფოს განწყობას განამტკიცებს ამ ორი დიდი მამულიშვილის მოყვრობა. შოთა და ცოტნე ავსებენ და აერთებენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ჰერეთი და საქართველო ერთიანდებიან მაშინ, როცა ქვეყანა უკვე მონღოლების ხელშია. აქ გამოვლინდა ერთიანი საქართველოს სული, ერთიანი სახელმწიფოს განწყობა, რომელიც წინა საუკუნეებში გვქონდა. რუსთაველი და დადიანი ამ ერთიანობას ავსებენ. შოთას ბაგრატიონობა და ცოტნეს დანათესავება აერთებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს. მესმის, რა ძნელი იქნებოდა გრიგოლ აბაშიძისთვის რომანში პერსონაჟად რუსთაველის შემოყვანა. ურთულესი საქმეა და მაინც, ვფიქრობ, გამოჩნდება ისეთი მწერალი, რომელიც შოთას და ცოტნეს გამოიყვანს პერსონაჟებად. პავლე ინგოროყვას აზრით, რუსთაველი არა მარტო გენიალური პოეტი, ასეთივე გენიალური პოლიტიკოსიც იყო ცოტნე დადიანთან ერთად. მათ შექმნეს ეპოქა, მათ შექმნეს ის განწყობა, რომ მონღოლს უკან დაეხია.

მონღოლს რომ უკან დაახევინო, ადვილი არ არის და ცოტნემ ეს შეძლო. კი ვახსენებთ იმ სახედაღრეჯილ მონღოლს, გმირობისა და ვაჟკაცობის უებრო მცოდნეს, მაგრამ მის წინ უნდა იდგეს ცოტნე დადიანი, მთასავით ცამდე ასული, შეუდრეკელი, ვაჟკაცობის უაღრესად გამომხატველი, თორემ სხვანაირად მონღოლს ვერ შეათრთოლებდა. დიდი ერები დიდ ადამიანებს აკავშირებენ ერთმანეთთან, ჩვენ კი ჩვენსას ვერ ვუვლით.

ფილმში „პირველი მერცხალი“ „აბა ულა“ გაჟღერდა საქართველოს ჰიმნად და ეს პავლე ინგოროყვას დამსახურება მგონია, მისი რჩევით ჩართული ამ კინოსურათში, დაპყრობილი ქვეყნის ჰიმნი გაჟღერდა და ამას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. კოლონიზაციის პირობებში პირველად ერთ-ერთ რესტორანში შალვა დადიანის „მხოლოდ შენ ერთს“ გააჟღერეს, როგორც საქართველოს ჰიმნი და მერე იყო ეს ფილმი. პავლე ინგოროყვა გახლდათ მართლაც სწორუპოვარი მეცნიერი, მომავალშიც მის აზრებს ბევრჯერ დაისაჭიროებს საქართველო. მისი ნაშრომები ხვალ და ზეგ უფრო დაფასდება და აუცილებლად ვიხილავთ შოთასა და ცოტნეს რომანის, ნოველის, პიესის პერსონაჟებად, ლექსების ლირიკულ გმირებად სწორედაც ერთად, პავლე ინგოროყვას მონიშნული გზით უნდა გამდიდრდეს სიტყვაკაზმული მწერლობა. ეს ჩვენი მისიაა. მე ვთქვი, რომ რუსთაველისა და ცოტნეს ნათესაობა ჩვენთვის ხელშესახებს ხდის ახალგაზრდა დადიანის გმირობის არსს, გასაგები ხდება, რომ რუსთველური შეგონებანი მოყვასისთვის თავგანწირვის შესახებ ცოტნეს შინაურულ წრე-გარემოში ექნებოდა შეთვისებული და ამდენად, სისხლსა და ხორცში გამჯდარი. მაშ ცოტნე არა მარტო ზნეობრივი სიმაღლისა და ჭირში გაუტეხელობის სიმბოლოა, არამედ ძალდაუტანებლად იგივდება თამარისდროინდელ საქართველოსთანაც და ჩვენი, ასე ვთქვათ, „უბორკილო დღის“ სიმბოლოც გახლავთ.

გამოვთქვი რწმენა იმისა, რომ რაკი იყო, ესე იგი ახლაც არის და მომავალშიც აუცილებლად იქნება, არასოდეს გაქრება რწმენისთვის, სამშობლოსთვის, მოყვრისთვის თავგანწირვის იდეა.

ვახსენე აკაკი წერეთლის „ნათელაც“, რომელშიც აშკარად ჩანს, ცოტნეს მეუღლის განსაკუთრებულობა. ცხადია, პოეტმა ზეპირი გადმოცემებით რაღაც უსათუოდ იცოდა ამ ქალის გამორჩეულობის შესახებ. სხვა გამომსვლელთა მსგავსად, მეც ისეთი განცდა მაქვს, რომ ქართული ლიტერატურა ჯერ კიდევ ვალშია ცოტნე დადიანის სახელის წინაშე.

ივანე ამირხანაშვილმა იმით დაიწყო, რომ თავისი ნახევრადხობელობა აღნიშნა. ოცი წლის წინათ დაწყებულა მისი ურთიერთობა ამ ქალაქთან, ხობის საპატიო მოქალაქედაც აურჩევიათ. მთელმა ჩემმა საახლობლომ, სამეგობრომ იცის, როგორ ვამაყობ ამითიო,–ბრძანა ბატონმა ივანემ და საუბარი დაახლოებით ასე ააწყო: რამ წარმოშვა ცოტნეს გმირობა, უცნაური მოვლენა, რომელიც ჟამთააღმწერელმა დაგვიტოვა, მე ვფიქრობ, კულტურამ. ცოტნე კულტურული გმირია. ეს ხომ შემთხვევით არ ხდება, მხოლოდ ინტელექტის კარნახით შეიძლება ასე მოქმედება. ასეთი გმირობა სწორედ რუსთაველის დროს უნდა ჩაედინათ, ცოტნე რუსთველური გმირია, იმ იდეოლოგიის წარმომადგენელია, რომელსაც ქადაგებს რუსთაველი, რომელსაც წარმოადგენენ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი და რომელიც თამარის სამეფო კარზე შემუშავდა. მისი სრულყოფილი გამოხატულება ხომ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს. კულტურა გლობალური მოვლენაა. იგი უცებ არ წარმოიშობა, ყანასავით ვერ დათესავ, რომ უცებ ამოვიდეს. მისი ჩამოყალიბება შორეულ წარსულში დაიწყო, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროს, ქართული ეკლესია-მონასტრებით დაიწყო ახალი კულტურის დამკვიდრება. მანამდე, როგორც ჩანს, ნერსე ერისთავმა დაამუშავა ეს გეგმა. ამ ინტელექტუალური გმირობის წარმომადგენელია ცოტნე.

ამ პერიოდში საქართველოსა და ევროპაში ერთდოულად ვითარდება კულტურა. საქართველო და ევროპა სრულ უნისონში არიან. ქართული ქრისტიანული კულტურა და ევროპული ქრისტიანული კულტურა ერთი მოვლენაა. მინდა გავიხსენო დამიანეს მხატვრობა, მართალია, ცოტა მოგვიანო ხანაა, მაგრამ იგი გამოხატავს იტალიური აღორძინების სულისკვეთებას. ჩვენი ტაძრების მოხატულობებიც ხომ მაღალი კულტურის შედეგი და ნიმუშია. მომავალში რა გადაარჩენს საქართველოს? დარწმუნებული ვარ–კულტურა.

მაღალმა კულტურამ წარმოშვა ის სულიერება, რომელიც ეკლესიაში დაიწყო და დღესაც ეკლესიაში გრძელდება.

გრიგოლ აბაშიძის რომანში „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ იტალიაში ფერწერას სწავლობს ქართველი მხატვარი, სამეგრელოდან... პირველად როცა წავიკითხე, მაშინ ძალიან უცნაურად მომეჩვენა. მხატვარი გივი თოიძე ხუმრობს ხოლმე და მეც მივბაძავ და გავიმეორებ, იტალიური აღორძინების დამწყები, ჯოტო, რომლის ბიოგრაფიის შესახებ არაფერი ვიცით, ალბათ, აქაური, სამეგრელოდან წასული კაცია–ჯოტო ბონდოს ძე. ეს ნახევრად ხუმრობით.

საქართველოს ერთიანობა გამოხატა რუსთაველმა და ზნეობრივ-მორალური კუთხით განამტკიცა ცოტნემ.

სამეგრელო-ზემო-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **ალექსანდრე მოწერელია**:

ისტორიის გააზრება გვაძლევს იმის საშუალებას, წარსულით განვჭვრიტოთ მომავალი. ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოები გადასახედია. ბევრი რამ ხელახლაა დასაწერი. დავით აღმაშენებელმა მოახერხა საერო და სასულიერო ხელისუფლების ფორმირება. მისი აღმზრდელი ჭყონდიდელი გახლდათ. ცოტნეს დროს კი ყველაფერი დაკნინდა, გადაგვარდა. ცოტნემ მოგვცა მაგალითი იმისა, თუ რა არის ნამდვილი საქართველო. გრიგოლ აბაშიძემ თავის რომანში აღწერა, როგორ აგებენ ფლოტს სამეგრელოში. საინტერესო ამბავია. საქართველოს ნაოსნობის ისტორია არ არის შესასწავლილი სრულად. როგორც ჩანს, დიდი და მნიშვნელოვანი ფლოტი გვქონდა. დასავლეთის კულტურასთან საქართველოს ჰქონდა მჭიდრო კავშირი. ევროპისკენ მიმავალი ბათო ყაენი და მონღოლები შეაჩერა საქართველომ. დღეს ევროპისკენ გზა გახსნილი გვაქვს. ცოტნე იქით მიგვიძღვის სწორედ.

მეუფე გრიგოლმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს, აღნიშნა, თქვენმა მადლიანმა სიტყვამ ძალიან დაამშვენა დღევანდელი დღეო, და თვითონაც სწორედ რომ მადლიანი სიტყვა გვითხრა. (ჯერ ტაძარში და მერე უკვე დარბაზში:)

ცოტნე არ არის წარსული. ის აწმყო და მომავალია. თუ წარსულად დარჩება, წაიშლება რუკიდანაც და ცივილიზაციის ისტორიიდანაც. ჩვენი ამოცანაა, რომ გავაცნობიეროთ, ვისი შთამომავლები ვართ და რა გვევალება... გვჭირდება სერიოზული იმპულსი, სერიოზული სულიერი ენერგია ამ დაბნეულობის ჟამს. საქართველოს ადგილი, რა თქმა უნდა, ევროპაშია.

ერმა და ბერმა ერთად უნდა ვაშენოთ მომავალი იმ გრძნობით, რასაც სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული ჰქვია. საქართველოს ეკლესია არ გაუცრუებს თავის სულიერ შვილებს იმედებს.

ახლა, ამ წუთში ცოტნე აქ არის, ჩვენ შორისაა. როსტომ **ჩხეიძის რეპლიკა:**

–რუსთაველიც აქ არის.

მეუფე გრიგოლი ეთანხმება და განაგრძობს: მათი შრომის შედეგია ის, რომ დღეს ამ თემებზე ვსაუბრობთ და მომავალზე ვართ ორიენტირებულნი.

დარბაზიდან გამოსულთ მეგრული სტუმართმოყვარეობის შესაფერისი ტრაპეზი გველოდა. ცხელოდა 12 აგვისტოს ხობში. ანა კალანდაძის ლექსის პერიფრაზი ამეკვიატა: ასეთი მწველი მზე თუ იყო მაშინ, ოდეს ანისში ქართველი შეთქმულები აწამეს? ამქვეყნად ყველაფერი ქრება და მხოლოდ მზე, ზღვა და მიწა რჩება?.. და კიდევ: გამორჩეული, უჩვეულო საქციელია უკვდავი და მარადიული, ყველა ეპოქასა თუ ყველა თაობასთან უხილავი ძაფით გადაბმული და გადაჯაჭვული.

ნინო ვახანია

ბულიწყუში ნაპირდამცავი გაბიონი შენდება

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ბულიწყუში სტიქიის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ ბულიწყუში ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის უფროსთან, ზაზა ბუკიასთან ერთად გაეცნენ. პროექტის ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 114880 ლარს შეადგენს.

სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა

ინფრასტრუქტურული პროექტი ხობის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის პრევენციისთვის გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა. ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობამ სტიქიის პრევენციისა და დაზიანებული ობიექტების აღდგენა-მშენებლობისთვის 2100000 ლარი გამოუყო.

ხელისუფლების წარმომადგენლები შავღელეს მოსახლეობას შეხვდნენ

ხობის მუნიციპალიტეტის შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა შეხვდნენ

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობისგან პრობლემების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

შეხვედრაზე ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე გაამახვილდა ყურადღება.

საუბარი ასევე შეეხო სოფლის მეურნეობის პროგრამებს და 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთავარ პრიორიტეტებს.

შეხვედრას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი ლევან გორგილაძე და შუა ხევის მერი ფრიდონ ფუტკარაძე ესწრებოდნენ.

შავღელეში ხულოს, ქედის და შუა ხევის მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ.

სულთათანა

ტარიელ გელანტია



შენმა უეცარმა სიკვდილმა შეგვძრა შენი კლასელები, ტარიელ! გვიჭირს შენი წარსულში გახსენება. გვიმძიმს ისიც, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ გაცილებთ, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი ვერაგია წუთისოფელი.

ავბედითმა დრომ უცხოეთში ცხოვრება გარგუნა ხვედრად. მამულის სიყვარულით გულანთებულს გიჭირდა მწარე რეალობასთან შეგუება, მაგრამ ვაჟკაცურად გაუმკლავდი განსაცდელს. ბედისწერას არ გაუტყდი, არ დაემონე. არავინ შეგიწუხებია, არაფერზე არ გაყიდულხარ. ბოლომდე დარჩი პრინციპების ერთგული.

უცხოეთშიც ღირსეულად ატარე კეთილშობილი, მართალი და პატიოსანი კაცის სახელი. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სკოლაშიც გამორჩეული იყავი. სანიმუშო ყოფაქცევისა და საუკეთესო სწავლის მაგალათს გვაძლევდი. მისაბაძ კლასელად გთვლიდით, გვეამაყებოდა!.. საოცრად კეთილი გული გქონდა. სითბოსა და სიყვარულს თანაბრად უნაწილებდი ყველას.

არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა იყავი. საუკეთესო შვილები აღზარდე. ისინი შეძლებენ ღირსეულად ატარონ სანიმუშო მამის შვილების სახელი. იძინე მშვიდად! ისინი წარმატებით ივლიან შენს მიერ გაკვალულ გზაზე.

გულმართალი და პატიოსანი კაცის სახელი დატოვე ამქვეყნად, ღირსეულად გატარებული ცხოვრების გზა მიღმიურ სამყაროშიც სასუფველს დაგიმკვიდრებს უთუოდ.

ტკივილითა და სიყვარულით გემშვიდობებით ჩვენო სასახელო და საამაყო თანაკლასელო.

მსუბუქი იყოს უცხოეთის მიწა შენთვის.

თანაკლასელები

ზურაბ კუტალია

მძიმე ავდამყოფობის შემდეგ 66 წლის ასაკში ხობელ სოფლის მეურნეობის დარგის ყოფილ მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი, პრინციპული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ზურაბ კონსტანტინეს ძე კუტალია.

ზურაბ კუტალია დაიბადა 1953 წელს ხობის რაიონის სოფელ ხეთაში. დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ბატონი ზურაბი სხვადასხვა დროს მუშაობდა ხობის აგროსამრეწველო გაერთიანების მეცნიერების დანერგვის განყოფილების სპეციალისტად, გაღმა-საჯიჯაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ქვალონის, ახალი სოფლის, პატარა ფოთის მეურნეობის გაერთიანების გენერალურ დირექტორად, ბიის კოოპერაციული მეურნეობის ხელმძღვანელად, ხეთის დაფნისა და ციტრუსების სახელმწიფო მეურნეობის მთავარ აგრონომად, შემდგომ ამავე მეურნეობის დირექტორად, ბოლოს ხეთის კოოპერატიული მეურნეობის ხელმძღვანელად.

ბატონი ზურაბ კუტალია გახლდათ ხელმძღვანელების საიმედო, ერთგული და გულთბილი პიროვნება.

მას უყვარდა მშრომელი, პატიოსანი და საქმის ერთგული ხალხი და თავადაც დიდ სიყვარულს იმკიდა. გამორჩეული თვისებები ჰქონდა, უდიდეს პატივს სცემდა ოჯახურ ტრადიციას... ჭირსა და ლხინში სხვათა თანადგომა, მოყვასის ერთგულება მისი ცხოვრების კრედო იყო.

ცისფერთვალა, ახოვანი, კეთილღიმილიანი ზურაბი ალამაზებდა ირგვლივ მყოფთა სიცოცხლეს...

ქალბატონ მანანა ხასიასთან ერთად დიდ ოჯახს წინამძღვრობდა. ორი ვაჟისა და ქალიშვილის მამა მათი ოჯახების სიხარულით ცოცხლობდა... ამაყობდა მათი კეთილგონიერებით.

რაიონის სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკთა სახელით სამძიმარს ვუცხადებ მეუღლეს ქალბატონ მანანა ხასიას, შვილებს პაატას, დათოს, მარიკას. დებს, ყველა ახლობელს. ისინი ყოველთვის იამაყებენ ბატონ ზურაბის მიერ გავლილი გზით.

კიდევ ერთხელ ვემშვიდობები მის ნათელ სახეს. გვჯერა, ის კაცობაში, უბრალო ადამიანებთან ახალგაზრდებთან ურთიერთობაში პირველი იყო, და იქაც ნათელი დაადგება მის სახელს.

მერაბ სალაყაია.

ქეთევან (ქეთო) შელეგია-ვარდია

ხობის მუნიციპალიტეტის პედაგოგთა დიდ კოჰორტას გამოაკლდა შესანიშნავი ქალბატონი ქეთევან (ქეთო) შელეგია-ვარდია.

გადაჭარბებული არ ვიქნები თუ ვიტყვი: იგი მოწიწებას და პატივისცემას ძალაუნებურად იმსახურებდა, ყველგან და ყოველთვის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას ამშვენებდა თავისი რაობით, სხვა ხიბლითა და პეწით, სხვა ხელწერით იყო რჩეული... ბავშვები, მით უფრო მისი მოსწავლეები იყო მისი ყველაზე დიდი და ღრმა სიყვარული. ალბათ, ამიტომ ემსახურა მათ აღზრდას, სწავლა-განათლებას ათეული წლები ასე უშურველად...

ქეთო მასწავლებელი ჩემს მეხსიერებას შემორჩა მუდამ პეწიანი, ხალისიანი, მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ ამასთანავე ძალზე გულთაფლიანი. ჩვენ, მის ყოფილ მოსწავლეებს, ხომ გვაბედნიერებდა, თავადაც უზომოდ ბედნიერი იყო, რადგან განგებამ მეგობრად და თანამეცხედრედ დიდ პიროვნებას ბატონ კარლო ვარდიას შეახვედრა.

ბატონი კარლო ახალი ხიბულის საშუალო სკოლას ათეული წელი ხელმძღვანელობდა. იგი იყო შინაგანი კულტურით აღვსილი ადამიანი, ინტელექტუალი, მწიგნობარი. მთელი სოფელი მათ მიმართ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იყო აღვსილი. როგორც ამბობდნენ, ორივენი მოწოდებით პედაგოგები იყვნენ, ამ საქმისთვის დაბადებულები...

ქეთო მასწავლებელი ბიოლოგიას გვასწავლიდა, თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ამ კეთილშობილურ საქმეს.

მართლაც როგორ გაირბინა წლებმა... ხიბულის საჯარო სკოლას ჩემი ყოფილი მასწავლებლებიდან მხოლოდ მიშა ბასილაია შემორჩა (უფალმა დიდხანს აცოცხლოს), დიდება მათ უკვდავ სულებს...

დიდი ფრანგი პოეტი და გრაფიკოსი ანრი მიშო ხანდაზმულობაში გარდაიცვალა. მისმა უფროსმა მეგობარმა ოჯახს ასეთი წერილი მისწერა: „ასეთი ადამიანების სიკვდილი მუდამ ნაადრევიაო“. მის ცხედართან მდგომი ამ სიტყვებს ვიმეორებდი...

კარლო და ქეთო ვარდიების დიდმა ოჯახმა, სამი შესანიშნავი შვილი ანტონი, გელა და მედეა აღუზარდეს სამშობლოს. ტრადიციულ ოჯახში აღზრდილნი ქართულ წესსა და ადათს აგრძელებენ და ქვეყნის სამსახურში ისეთივე კეთილშობილებითა და პროფესიონალიზმით დგანან, როგორც მათი მშობლები და საამაყოდ რჩებათ მათი წინაპრების სახელი და დიდება...

მშვიდობით, ქეთო მასწავლებელო! ღმერთმა სასუფეველი ნუ მოაკლოს თქვენს ნათელ სულს.

ბეჟან ნადარაია, თქვენი ყოფილი მოსწავლე.

მზევარ მაშავა

მოულოდნელი იყო თქვენი გარდაცვალება. ძვირფასი ადამიანი დავკარგეთ თქვენმა ყოფილმა მოსწავლეებმა მზევარი მასწავლებელო. თქვენ ხომ წლების განმავლობაში ჩვენი კლასის დამრიგებელი იყავით. ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, ყოველი თქვენი გაკვეთილი ბედნიერება იყო ჩვენთვის. ახლა ვაცნობიერებთ რა ახალგაზრდა ყოფილხართ მაშინ. წლები გარბიან და სევდას და ტკივილს გვიტოვებენ.

გჯეროდეთ, მუდამ სიყვარულით გაგიხსენებთ და არასოდეს დაგივიწყებთ, მოსაგონარი ძალზე ბევრია, თქვენ მუდამ დარჩებით კაცური კაცის სიმბოლოდ.

თქვენი ოჯახის ტრადიცია და ბედნიერი მომავალი გაგრძელდება თქვენი საამაყო შთამომავლობის სახით.

ვუსამძიმრებთ თქვენს ოჯახს, ხოლო ჩვენს საყვარელ ლუარა მასწავლებელს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

სოფელი ჭალადიდი არასოდეს დაივიწყებს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილ პიროვნებას, წლების განმავლობაში სოფლის ყოფილ თავკაცს–მზევარი მაშავას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა სული.

გულნაზი ბერაია–ჯიშკარანი, ჭალადიდის საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულების სახელით.

სულთათანა

მედეა დანელია

ადამიანს სიცოცხლეს ერთხელ არგუნებს უფალი და ბედნიერია ის, ვინც ცხოვრებისეული მძიმე ხვედრის გარეშე ღრმად მოხუცი, თმებდათოვლილი, ტკბილი მოგონებებით, გარშემომყოფთა სიყვარულით და ახლობელთა ზრუნვით გარემოცული განერიდება ამ წუთისოფელს.

ქალბატონო მედეა!

თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები ყმაწვილქალობის, ლამაზი სიყვარულის დაგვირგვინებული ტკბილი ოჯახის შექმნით, საოცნებო ქალიშვილის აღზრდით და ექიმ-ლაბორანტის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის რანგში განვლეთ აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირეში.

შემდეგ კი, ბედუკულმართობამ, მსგავსად აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველი მოსახლეობისა, თქვენი ცხოვრება დევნილის სტატუსით წარიმართა ამ ცოდვილიან დედამიწაზე, კერძოდ, კი სამეგრელოს ერთ ლამაზ კუთხეში ხობში.

გულდასერილი, მძიმე ტკივილით, მოუშუშებელი ნაიარავით, საკუთარ ოდაბადეს, დედმამიშვილებს მათ შთამომავლობას მოწყვეტით უკან მიბრუნების უსაზღვრო ჟინით შეპყრობილი ტანკენარი, თვალებში სხივჩამდგარი, მაგრამ სევდანარევი მზერის დიდბუნოვანი და ყველასთვის ძვირფასი ქალბატონი მედიკო დანელია დააბიჯებდით ხობის ქუჩებში.

ხობს და ხობელებს თითქოს დროებით შეხიზნულმა, გულის კარი გაუღე, მათ სტუმართმოყვარეობას შენეული სითბო და ალერსი შეაგებე, უსაზღვროდ მადლიერი იყავი ხობის სამუსიკო სკოლის მაშინდელი დირექტორის ქალბატონ ნათელა მარგველაშვილის გაცნობით, ვინც სხვებთან ერთად თავისი დაწესებულების ჭერი შემოგთავაზათ და დახმარების ხელი გამოგიწოდათ.

ხობის დევნილთა პოლიკლინიკაში მისი დაარსების პირველი თვიდან, კერძოდ 1995 წლის ნოემბიდან კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდი პროფესიონალი, მაღალი ხარისხის ჩინებული სპეციალისტი. რარიგ გვეხმარებოდი აქ დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს დაავადების უტყუარ დიაგნოსტიკაში.

ლაბორატორიულ საქმიანობაში პრაქტიკული მოღვაწეობის განვლილი წლები იყო დასტური თქვენი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის, თავდადების, გულისხმიერების, თეთრი ხალათის ფაქიზად ტარების, თანამშრომლებთან სათუთად ურთიერთობის, სხვათა ზრუნვისა და მოფერებაში უანგაროდ გახარჯულო, ყველასათვის ძვირფასო, ქალბატონო მედეა!

ჩემთვის უსაზღვრო ტკივილია თქვენთან თანამშრომლობის ხანგრძლივი დროის გახსენება. არ მაგონდება არცერთი დღე, დუხჭირ ცხოვრებაგამოვლილი კაფანდარა, ნაოჭებდაყრილი პიროვნებისა, განპირობებული საყვარელი მეუღლის, დედმამიშვილების დაკარგვის, პირადულზე წუწუნის ან სხვაზე გაბოროტებისა.

შენი ნუგეში და სიცოცხლის იმედი ქალიშვილის ოჯახი იყო. უსაზღვრო ადამიანურ ბედნიერებას და განუზომელ სიხარულს ერთა ვაუკაცი შვილიშვილი განიჭებდა. წარსულის მწარე მოგონებებს და ავადმყოფობით გამოწვეულ დარდს, მათთან ურთიერთობა გიქარვებდა.

მადლობა თქვენ, ჩემო კეთილო ქალბატონო! იმ ლამაზი წლებისთვის, რაც ჩვენ გვაჩუქეთ, ჩვენთან ერთად გაიარეთ სხვების საამებლად, სხვათა ტკივილის და დარდის მოზიარედ.

მადლობა სამაგალითოდ განვლილი ღვთისგან ბოძებული სიცოცხლისთვის, რამეთუ თქვენ გვმოძღვრავთ როგორი უნდა იყოს ადამიანი პიროვნულ იდეებზე მაღლა მდგომი, რათა გავისარჯოთ სხვათა საკეთილდღეოდ.

კიდევ ერთხელ გეფერებით და გთხოვთ პატიებას, რომ თქვენს ცხედარს თბილისში პატივი ვერ მივაგე. მე კი, აქედან, თქვენი საყვარელი ხობიდან, ვილოცებ თქვენი სულის უკვდავებისთვის, სადაც უფლის ნებით თქვენნაირი პატიოსანი და ღირსეული პიროვნებები განისვენებენ.

სვეტლანა გვათუა,
შ.პ.ს. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის“ დირექტორი.

ნიკა ლატარია

გაუსაძლისად გაილია სამი წელი ჩვენო უსაყვარლესო, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ნიკა! რატომ, რატომ გაგვწირე ასე, რით დავიმსახურეთ ეს დიდი მწუხარება, რაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლამ გვარგუნა.

უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე–8 ოქტომბერი. ჩვენ არაფერს დაგაკლებთ, როგორც ყოველთვის, ლამაზი სუფრა გაგიშალეთ და შენმა ახლობლებმა და მეგობრებმა შენი სადიდებელი სადღეგრძელოები თქვეს. მაგრამ, ვაი, რომ ეს ძალზე ტკივილიანი და სევდიანი იყო...

დღეები გადიან შენი მოგონებებით, შენი საფლავის და სურათების მოფერებით. ყოველი დღე, ყოველი წუთი შენზე დარდით და შენზე ფიქრით, ჩვენი ცხოვრების არსი გახდა.

ცხოვრება გრძელდება... მაგრამ იცოდე, ეს ის ბედნიერი ცხოვრების გაგრძელება კი არა, ტკივილის, დარდისა და ცრემლის მომგვრელი ცხოვრების დღეებია.

ნიკა, გთხოვთ ხშირად მოხვიდე სიზმრად. იცი? ეს როგორი საშუალება იქნება თითოეული ჩვენთაგანისთვის. სიზმარში მაინც ჩაგვეხუტე. ეს სიამოვნება განგვაცდევინე ისე, როგორც სამი წლის წინათ გჩვეოდა. მაშინ ნამდვილად ბედნიერი ვიქნებით, წუთიერად მაინც... გთხოვთ!

სათქმელი ბევრი გვაქვს, დასაწერიც მაგრამ ძალა არ გვყოფნის საამისო რაიმე გავაკეთოთ. მოგონებები გვერევა და არ ძალგვიძს. არ შეგვიძლია რაიმე გითხრათ, ან გისაყვედუროთ ჩვენო ძვირფასო, ჩემო საყვარელო...

გემშვიდობებით, ნიკა! 16-ში შენი გარდაცვალების დღე იყო... არ ვიცით როგორ შევძლებთ უშენოდ ყოფნას. შენ როგორ შეეჩვიე იქაურობას, უჩვენოდ ყოფნას. ეს ჩვენი უპირველესი საფიქრალია. უაზრო, მაგრამ დამამშვიდებელი.

გემშვიდობით, საყვარელო!..

გკოცნით და გეფერებით ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ.

გვიყვარხარ!!!

დედ-მამა ნატო და ელდარი, ძმა ალიკა ლატარიები, სალომე მოსია და შენი მარი.

დიტო კორტავა

ტკივილქცეულად ვწერ ამ სტრიქონებს...

ნისლი ჩამოწვა...

ამქვეყნად ყველაფერი სრულდება, არავინ უწყის ვის რას უმზადებს ბედისწერა.

თეთრი მტრედების დიდ გუნდებად დრონი წავიდნენ...

სიკვდილზე შემზარავი არაფერია...

ბევრი წავლენ, ბევრი მოვლენ...

ჩვენც წავალთ...

ჩვენს საფლავზეც მოვლენ, წმინდა სანთლებს დაგვინთებენ, მოგვიხსენიებენ, ამაგს დაგვიფასებენ და შენს ლამაზ ფუძეზე სიცოცხლეს გაგრძელებენ...

დიტოს აღარავინ დარჩა...

უშვილოდ, უძიროდ წავიდა ამქვეყნიდან...

ეჰ, ბიჭო, რა იღბალი გქონია?!

ვინ მოგერია მთასავით კაცს...

ვინ შეგაწყვეტინა სიცოცხლე ცხოვრების შუაგზაზე...

ო, ღმერთო ჩემო, 5 წელი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან.,

შენზე ფიქრებმა მიმაცილა შენს საფლავამდე, დღეს შენი დაბადების დღეა, მირონივით კამკამა ღვინო ისმევა საფლავზე.

განუზომელია ტკივილი დიტო (დიტიტო) გილოცავ, მომავალ შეხვედრამდე...

ნაირა ბერაია.

ა (ა) იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, უბადლო მეგობარი, საუკეთესო სპეციალისტი, №1 საბავშვო ბაღის ბუღალტერი.

კლარა შალამბერია-თოდუა

ქ. ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის-**კლარა შალამბერიას** გარდაცვალების გამო.

დიდია მისი ღვაწლი საბავშვო ბაღის წინაშე. იგი ოთხი ათეული წელი კეთილსინდისიერად, ღირსეულად ემსახურა მის საქმეს. თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი, კარგი ადამიანი და კოლეგა, რომელსაც დიდი სიყვარულით „დედას“ ვეძახდით.

იგი ყოველთვის იქნება ჩვენთვის როგორც მაგალითი კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, სითბოსა და სიყვარულის.

უფალმა მის სულს ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს!

ნონა ალანია

ტარიელ საჯაია ოჯახით, შვილებით იუწყება

ტარიელ (რომული) გელანტიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

დემური ბუკია, ჟორა იოსავა, დათო პაჭკორია, გურამ კვიკვინია, საშა არჩაია, ბადრი ლომაია, ნუგზარ შონია მწუხარებაში თანაუგრძნობენ ეკა და თენგო დოლბაიებს დედის

ნაირა ბუკიას

გარდაცვალების გამო.

დემური ბუკია, ჟორა იოსავა, დათო პაჭკორია, გურამ კვიკვინია, საშა არჩაია, ბადრი ლომაია, ნუგზარ შონია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გენადი შონიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ფესტივალი „საარიკო—საარკო“

თავისებური პალიტრის ფერად-ფერადი „ჭარჭულია“–მეგრული ქალის სამოსივით ხასხასა და ჩალისფრად დაფერილი შემოდგომა მდიდარია მსუყე-მაძღარი გემოების მრავალფეროვნებით. გლეხის ნაშრომ-ნაჯაფის შემაჯამებელი ღვინობისთვე, ფერთა გამით აკეთილშობილებს ადამის მოდგმას, მით უფრო, როცა სწორება ხდება ხაჭაპურის ფესტივალისთვის. სმა-ჭამის ინსტიტუტი–მეგრული ტაბლა ჰამო-გემოთი აერთიანებს სხვადასხვა კუთხის, მრწამსის თუ გემოვნების ადამიანებს. სტრაბონი ერთგან აღწერს კოლხთა შესახებ და მის პერიფრაზს მოგახსენებთ:

„ვარდიშ მაჭიჭა ფურცელშო,
ორე ქიანა მუ დიდი,
თენა გოხოლუ მანჭაფუს–
აკუა, შონე, ოდიში.
კოლხეთიშ შქა გურ ხოპიას,
გურს ოხუტოლუ გურია,
რაჭა ობირძღუ ქვე-ვრეთის,
ჭიჭე აქილე აჭარა
გოჭარაფუანს მერეთის,
მუთ სი იკითხი გოლუა
სტრაბონშე ელნაღაჭარე,
ვარდის მაჭიჭა ფურცელშო,
ორე ქიანა მუ დიდი.“

დასავლეთ საქართველო–კოლხეთი, უნიკალური და მრავალმხრივი. აქ არამხოლოდ კარგად მღერიან, ერთურთშიც ტკბილად, მეგობრულად ცხოვრობენ: სვანური „ლილე“, აფხაზური „ვარადო“, მეგრული „ჩელა“, „ოდოია“ თუ „კუჩხი ბედინერი“ და ეს გენეტიკური ხასიათი იგრძნობა მეგრელი, სვანი თუ აფხაზი ქალის მიერ სამზარეულოში გაცოცხლებული გემოებით. სკივრიდან თუ საკუთარი თვითშემოქმედებით მომზადებული კერძების მომნუსხველ სუნნელ-გემოებში.

ფესტივალი–ადამიანთა თავშეყრის, ურთიერთგაცნობის, გამოცდილებისა და ხედვის, თვალსაწიერის ხედნის, სწავლისა და გართობის შესანიშნავი მოტივი ანუ კულტურული ღონისძიებაა.

2019 წლის 19 ოქტომბერს რუხი „ხაჭაპურის ფესტივალს“ მასპინძლობდა. ორგანიზატორები, შეფ-პოვართა დასი იყო, სადაც მოწვეულნი იყვნენ ქართველი და უცხოელი კულინარები, მზარეულები, ასვე ჩართული იყვნენ სხვადასხვა კუთხის მუნიციპალიტეტიდან

სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ დავით ფარცვანიამ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი შენგელიამ, საქართველოში USAID-ის ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორ მარიკა ოლსონსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) ხელმძღვანელ ლევან წულაიასთან ერთად საქართველოში პირველი ხაჭაპურის ფესტივალი გახსნეს. ხაჭაპურის ფესტივალი წარმოადგენს ახალ ტურისტულ პროდუქტს, რომელიც საქართველოს გასტრონომიული კულტურისა და ხაჭაპურის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერძის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნინო ვიბლიანი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქართული გასტრონომიის ეს დღესასწაული სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მონაწილენი.

დღე იდგა მზიანი, თბილი, მღიმარი. ჰაერი გაჟღენთილი ხაჭაპურის სუნნელით. იქვე გებუალიას თუ სხვადასხვა კულინარიული შედევრის დაგემოვნების საშუალებით საზოგადოება, სტუმრები შესანიშნავი ბენდის (ხელმძღვანელი ბოლქვაძე სოლისტი ბათილაშვილი), ზუგდიდის ანსამბლი „ოდოიას“ მიერ შესრულებული ქართული თუ უცხოური მელოდიის ფონზე ათვალიერებდა საფესტივალო გამოფენებს და ეცნობოდა კულინარიის ახალ ინოვაციებს.

ერ, საქართველოში USAID-ის „ზრდა“ პროექტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, რუხის სავაჭრო ცენტრისა და საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა.

მონაწილეები ხობი, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, მარტვილი, აჭარა, გურია ფართო საზოგადოების წინაშე ჩაერთნენ ხაჭაპურის ფესტივალის მარათონში. მოხალისე მონაწილეები ხალისით ფუსფუსებდნენ, თავიანთი ნახელავით იწონებდნენ თავს საზოგადოებისა თუ კულინარიის ოსტატების, ჟიურის წინაშე.

ჟიურის წევრები გახლდათ გურამ ბაღდოშვილი, მერიკო გუბელაძე, ბრაიან კინგი, ლევან ქოქიაშვილი, ნანა დოლიძე, დალი ცატავა, დავით ფარცვანია და ანა მიქაძე.

ღონისძების წამყვან ნიკოლოზ წულუკიძეს ინტერვიუებში მონაწილეები უშურველად გასცემდნენ თავიანთი ნახელავის შესახებ ინფორმაციებს, რამეთუ მრავალნაირი იყო ხაჭაპური. შებოლილი კვერცხით, ფენოვანი, მეგრული ხაჭაპური, სვანური თუ აფხაზური რეცეპტების შესახებ.

მოგეხსენებათ ხაჭაპური ქართული სუფრის კულინარიული შედევრია. მართლაც გვირგვინი სუფრისა, პურიხაჭოთი, მრავალნაირია როგორც ფორმით ისე გემოთი და თან დიდოსტატის ხელში ფქვილი და ყველი ერთ დიდ ჰარმონიაში ქმნის გემოთა იმ სრულ კადანსს, რომლითაც ხასიათდება ბრწყინვალე, ვირტუოზულობით აღსავსე, ხალხური თუ დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოების დამაგვირგვინებელი ეპიზოდი.

არცთუ ისე შორეულ პერიოდს გავიხსენებ. წეს-ადათის მიხედვით სმა-ჭამა უფრო მიღებული იყო „შინ“ სანათესაო თუ საახლობლო გარემოში ქეიფით, მაგრამ დრონი თავისას შვება, იცვლება ყველაფერი, როგორც იგრენდიენტები, ასევე კერძის მომზადების თუ ჭამა-სმის კულტურაც. 20-ე საუკუნის ოჯახში ყველა დედა თუ ბებია ცდილობდა განსაკუთრებით ქალიშვილებისთვის ესწავლებინათ ხელსაქმე, გიტარაზე დაკვრა, მეოჯახეობა, საჭმლის მომზადების წესები. ამგვარად დაგროვდა და ჩვენამდე მოაღწია უამრავმა რეცეპტმა, რომელიც ზოგ შემთხვევაში დაიკარგა კიდეც. მაგრამ ჯერ კიდევ ბებიების სკივრიდან ამოაქვთ ძალზე საინტერესო რეცეპტები და არამხოლოდ ზეპირი გადმოცემით, არამედ მრავალი კულინარიული ლიტერატურისა და ტექნოლოგიების საშუალებით შეგიძლიათ არამხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად მსოფლიოს ყველა კუთხის გემოთა კრებული ვისწავლოთ სამომავლოდ, რომ უფრო თავისუფლად შევძლოთ მივიღოთ მონაწილეობა სმა-ჭამის თუ კულინარიული შედევრების ტრადიციულ ფესტივალებსა და კონკურსებში.

სამზარეულო–ტრადიციული კერძები და სასმელები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც ნათლადაა გამოხატული ერის კულტურა და განვითარების დონე. მეგრული, სვანური და აფხაზური კერძების ინგრედიენტები, საკვების მომზადება-შენახვის ტექნოლოგიები გარკვევით წარმოაჩენს მხარეთა მდიდარ წარსულს, რაც ნათლად წარმოჩინდა ფესტივალის მსვლელობისას.

ამ მარათონში გაიმარჯვა მარტვილის მუნიციპალიტეტმა. ხობელი მონაწილის ნანა ქორაიას მეგრულმა ხაჭაპურმა დაიმსახურა ჟიურის მოწონება, რისთვისაც ხობის მუნიციპალიტეტმა ქალბატონი ნანა ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა.

ამ შთამბეჭდავი ღონისძიების „ხაჭაპურის კონკურსში“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 37 მოყვარულმა და პროფესიონალმა მზარეულმა მიიღო მონაწილეობა. ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იყო ცნობილი შეფ-მზარეულების მასტერ-კლასები, მათ შორის, გურამ ბაღდოშვილის მესხური ხაჭაპური, ესმა კუნჭულიას გურული ღვეზელის საიდუმლო და ისტორია, დალი ცატავას და გასტრონომიის ასოციაციის კვლევა საქართველოს გასტრონომიული კულტურის შესახებ, ხაჭაპურის გზა UNESCO-მდე და ყველის ასოციაციის ხელმძღვანელის ანა მიქაძის ყველის ამოყვანის მასტერ-კლასი.

ფესტივალი ასევე მოიცავდა რეგიონების მიხედვით ხაჭაპურის სხვადასხვა სახეობის მომზადების კონკურსს, ნომინაციებში გამარჯვებულები გახდნენ:

მეგრული სამზარეულოს განუმეორებელი გემო–ბელა კუპრავა.

ხაჭაპურის საუკეთესო ვარიაცია–რესტორანი „მენძელი“

ყველაზე სწრაფი მცხობელი - დარეჯან ყოლანდარია (გარდენ პალასი).

საუკეთესო მცხობელი–ნელი ბოჭორიშვილი.

ვიზიტორთა რჩეული ხაჭაპური– „ოკო“ საცხობი ქუთაისიდან

მომავალის ხაჭაპური–კოლეჯი „ახალი ტალღა“.

საუკეთესო ხაჭაპური-რესტორანი „შინ და გორი“.

მადლობა პროექტ „ხაჭაპურის ფესტივალის“ ორგანიზატორებს, შემოქმედებით ჯგუფებს, პროექტის დამფინანსებლებს USAID-ს. რამეთუ მათი ურთიერთმხარდაჭერით XXI საუკუნის 20-ანმა წლებმა მომავალ თაობას დაუტოვა დიდი კულინარიული საჩუქარი მეგრულ-სვანურ-აფხაზური რეცეპტების კრებული „კოლხური ტაბლა“.

ჩვენ, ხობელი გულშემატკივრები, შეძახილებით და ტაშით შევუერთდით ფესტივალს, დავაგემოვნეთ მონაწილეთა მიერ მომზადებული ცხელ-ცხელი ხაჭაპური...

ძალიან სახალისო და თბილად მოსასმენია თურმე ამგვარი მილოცვა, როგორიცაა გილოცავთ „ხაჭაპურის ფესტივალს“, მრავალს დაგასწროთ უფალმა.

...ამ ლამაზ, ხალისიან, მშვენიერ დღეს კიდევ ერთხელ მოიწონა თავი უგემრიელესმა თოთო-თოთო ხაჭაპურმა და მეგრულმა სტუმარ–მასპინძლობამ.

ნანა ჯალაღონია.

ხობი „ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)“.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.